საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/217

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2019 წ

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 დეკემბრის N141 დადგენილების,** ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის **პირველი სემესტრის** ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2016 წლის 27 მაისის N32 დადგენილების,** ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს** 2016 წლის 6 ივლისის N40 დადგენილების, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N101დადგენილების,** ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული უცხოელებისათვის (მე-6 ნაკადი) 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 თებერვლის N9 დადგენილების,** ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N113 დადგენილების,** ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-7 ნაკადის) 2018-2019 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 3 დეკემბრის** N01-08/174 ბრძანების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის №06-01/109 დადგენილების** (ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2019 წლის 5 დეკემბრის №06-01/138** დადგენილების), ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის

გადახდის წესის", „ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2016-2019 წლებში გამოცემული ბრძანებების,** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 20 ნოემბრის MES 1 19 01587470 მოხსენებითი ბარათის და „ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის N07-01/60 გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთა მიერ **2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე** (2020 წლის 23 მარტი) 2 (ორი) კვირით ადრე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 9 მარტისა განხორციელდეს:

ა) **აკადემიური რეგისტრაციისა** (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) **და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა** (სწავლის წლიური საფასური - 3300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა) - ბსუ-ში **II, V და VI ნაკადებზე ჩარიცხული პირების** მიერ (ამ ნაკადების სტუდენტთათვის 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრი; მათი ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანებები: **II ნაკადზე** (ბსუ-ს რექტორის N01-09/320, 23.05.2016; N01-09/321, 23.05.2016; N01-09/322, 25.05.2016; N01-09/371, 04.07.2016), **V ნაკადზე** (ბსუ-ს რექტორის N01-09/42, 08.02.2018; N01-09/61, 15.02.2018) და **VI ნაკადზე** (ბსუ-ს რექტორის N01-09/44, 09.02.2018; N01-09/217, 13.03.2018; N01-09/253, 04.04.2018; N01-09/268, 18.04.2018; N01-09/352, 30.05.2018);

ბ) **მხოლოდ აკადემიური რეგისტრაციის** (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) გავლა - ბსუ-ში **I, III, IV და VII ნაკადებზე ჩარიცხული პირების** მიერ (ამ ნაკადების სტუდენტთათვის **2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრი - გაზაფხულის სემესტრი,** მათი ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანებები: **I ნაკადზე** (ბსუ-ს რექტორის N01-09/8, 12.01.2016; N01-09/37, 11.02.2016 და N01-09/272, 15.04.2016 ბრძანებები), **III ნაკადზე** (ბსუ-ს რექტორის N01-09/939 30.12. 2016, N01-09/11 18.01. 2017, N01-09/35 08.02. 2017 და N01-09/59 17.02 2017 ბრძანებები), **IV ნაკადზე** (ბსუ-ს რექტორის N01-09/710 11.10. 2017წ, N01-09/784 30.10. 2017 წ, N1-09/795 01.11. 2017 წ, N1-09/796 01.11. 2017წ ბრძანებები) და **VII ნაკადზე** (№01-09/451. 04.09.2018 წ, №01-09/474, 17.09.2018 წ, №01-09/493. 20.09.2018წ, №01-09/515. 27.09.2018 წ. , №01-09/522,28.09.2018 წ, №01-01/556,04.10.2018 წ, №01-09/561, 05.10.2018 წ, №01-09/608, 10.10.2018 წ, -№01-09/709,22.10.2018წ, №01.09/726 29.10.2018წ, №01.09/758,08.11.2018 წ, №01-09/774,

20.11.2018 წ, №01-09/788,27.11.2018 წ, №01-09/814, 18.12.2018 წ, № 01-09/821, 25.12.2018 წ, № 01-08/16, 31.01.2019 წ, № 01-08/25, 15.02. 2019 წ, № 01-08/87,14.03.2019 წ).

2. **სტუდენტს შეუჩერდება** ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, თუკი წინამდებარე ბრძანებით დადგენილ ვადაში და ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილებით დადგენილის წესის შესაბამისად **არ გაივლის აკადემიურ ან/და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, კერძოდ:**

2.1. სტუდენტს შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი **<u>და არ დაერიცხება</u>** მომდევნო სასწავლო წლის საფასური (დავალიანება), თუკი:

ა) პირადი განცხადებით მოითხოვს მომდევნო სასწავლო წლიდან შეუჩერდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი (განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ან არაუგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირისა);

ბ) დადგენილ ვადაში არ გაივლის მომდევნო სასწავლო წლის/სემესტრის აკადემიურ რეგისტრაციას;

2.2. **სტუდენტს შეუჩერდება** ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, მაგრამ **<u>დაერიცხება</u>** შესაბამისი სასწავლო წლის საფასური (დავალიანება), **თუკი** დადგენილ ვადებში გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას, მაგრამ არ გადაიხდის შესაბამისი სასწავლო წლის საფასურს სრულად (არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას).

3. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს მისი (ინგლისურენოვანი თარგმანის) სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადება (ფაკულტეტის დეკანის ოფისთან თვალსაჩინო ადგილზე - საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნება) და თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალურად გაცნობა (ბრძანების თარგმანის ასლზე და დანართზე ხელმოწერის დადასტურებით).

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს,

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**